

ეროვნული
აკადემია

ხოჭო 36081

1921 წ. იანვრი. № 3.



დედა

ა. ვისუნელის ძირზე.



თეატრი-ციცარის.

თეატრი არის ცხოვრების სარკე და ეკვივალენტი. მაგრამ სახურის მარალელიც შეიძლება: თეატრი არის ცხოვრების გარდაქმნა და ფერისცვალება. ბოლოს და ბოლოს ყოველი შემოქმედება არის ნიღაბი. თეატრი ცხოვრების ნიღაბია. ყოველივე ის, რაც ხელოვნება არის, სინამდვილის გარეშე სდგას და სინამდვილებს არ ემორჩილება. ხელოვნება იმეორებს ცხოვრებას, მაგრამ ის, რაც ხელოვნების სარკეში ჩნდება, სასტრიქი ირონიით უცქერის თავის ორივინალს. ასეთია სინამდვილის ბედი: იყოს წყარო ზა ნიადაგი ხელოვნების და იმავე დროს მისი მასხურის როლს თამაშობდეს. თუ ჩვენი ქვეყანა ინარეკლია — ის უნდა ვატარდეს ოცნების განსაწმენდელში, რომ მან მერილს პირველყოფილი ნამდვილი სახე. ირონია ორეულის — მიმართული ორივინალის წინააღმდეგ აუცილებელია: რაც სარკეში ჩნდება, ის ყოველ-თვეს უფრო იდეალურია, ვიდრე ის, რაც სარკის წინ დგას. ხალხით გავსებული თეატრი და მოელვარე სცენა მომქმედი პირებით — იდუმალია. დაიკერება თეატრის კარები, ასედება ფარდა, რომელიც ჩვენი მავშობის ძვირფას მოგონებას შეადგენს და იწყება ფანტასიაგორია. სცენაზე ვხედავთ მსახიობებს, რომელნიც ჩვენი საკუთარი აქტდილები არიან. ამ დროს იბა-დება ერთი ილიუზია: თითქო თეატრი ხომალდია და ჩვენ პვე-ლა მივექანებით ზღვის უფსკრულში. ყოველი ჩვენგანი კატას-ტროფის წინადგრძნობას განიცდის თეატრში. ჩვენ ვიცით: როდესაც „ტიტანექს“ უბელურება ეწვია — ამ დროს გემ-ზე წარმოდგენა მიღიოდა და „ტიტანიკის“ არისტოკრატია ილ-ბად წინდაწინვე გრძნობდა თავის საბედისწერო განაჩენს. თეატ-რი — ტიტანიკია. ხანდისხან თეატრი კიდეც იზიარებს „ტიტანი-კის“ ბედს. თეატრში ცეცხლი ჩნდება. რომელი ტრაგედია შეედარება ცეცხლმოკიდებულ თეატრს, სადაც გაშმაგებული ხალხი თავის თავს შველის, მაგრამ კეამლში და ცეცხლში იღუ-პება. თეატრის საფუძველი წარსულში იყო რელიგია — ანტიური



ტრაგედია და ქრისტიანული მისტერია შორს იდგენ ყოველ-
დღიურ საყითხებიდან, ღმერთებზე ლაპარაკობდენ და უკვდა-
ვებას ანიჭებდენ ხალხს.

როდესაც თქენ თეატრში შედიხართ, იციდეთ, რომ თქვენ
ნიდაგი გამოიგეცალათ ფეხებიდან და თქვენ წყალზე დატართ.
როდესაც თქვენ თეატრში უცემრით ჰამლეტს, შეაც ლირს,
თქვენ გრძნობთ რომ თეატრი თავისი აუდიტორით ტორტმა-
ნობს, როგორც მთვრალი ხომილდი. თეატრი არის მინიატი-
ურა დედამიწის, რომელიც სხვა პლანეტებთან ერთად აღვირ-
ასნილი დაეხეტება მსოფლიოში.

თეატრი ჩველური არ არის. ის ნამდვილი სიცვოლიკა ჩვენი
მშვენიერი და საშინელი ცხოვრების.

მაყურებელის როლი თეატრში დიდია: თითქო ის, რაც ხდება
სცენაზე, მისი საკუთარი გალიუცინაცია არის. საყურადღებოა
ერთი მომენტი: დარბაზი სავსეა ხალხით, მაგრამ ფარდა, რამპით
განათებული ჯიუტობს და არ უნდა დაგვანახოს ახალი სამყარო.

2 თეატრში უკველად შექმნა ფარდის ლეგენდა! უ, ეს ჭირველი
ფარდა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, როგორც საიჭიოს დარა-
ჯი. ეს ფარდა მაცლურია და ის ხშირად გვარუებს, როგორც
მესალინა, მაგრამ ჩვენ ფარდის მარადი რომანტიკოსები და რა-
ინდები ვართ. თეატრის ფარდა, როგორც სასწაულის წინამორ-
ბელი, ღირსი ჰიმნის და ოდესმე პოეტი შექმნის ფარდის პოე-
მას. დაუციცარია ფარდის კანკილი და მისი საოცარი შრიალი,
როდესაც ის მაღლა აღის, ან ძირს ეშვება მომაკვდავი გედის
სიმღერით. ისნება ფარდა და პარტერი ჰირისპირ დგას სცენის
უფსკრულთან.

თანამედროვე თეატრია ბერძნული ხოროს, როლი თვით მაყუ-
რებელს დაავილა. აქ შეიძლება კიდევ სხვა შედრება: ჩვენ —
მაყურებელნი მომქმედი ჰირების თავისიანი სეკუნდანტები ვართ
— იმიტომ რომ ყოველი პიესა არის კეშმარიტი დუელი ჰამლე-
ტის და ლაერტის შორის. სცენა ჩვენ გვაღელუებს ისე, თითქო
მას კავშირი არ ქონდეს წარმავალ ცხოვრებასთან. მაყურებელი
სომნამბულის ჰგავს, რომელიც კარგავს სინამდვილის გრძნობას
და აკრობატიკით ჰაერში გაბმულ სინაზე მიდის.

ბევრი ფარდები უნდა აიხსნას და ბევრი სცენა უნდა გავიაროთ,
სანამ მივაღწევდეთ უკანასკნელ ფარდამდი და უკანასკნელ
სცენამდი. თეატრი, როგორც სარჩმუნოება, იმედია უფრო
ბრწყინვალე წარმოდგენის და კულისები ლაბირინტია, რომელ-
საც მივყავართ სიციოში.

ერთეული

თეატრში არის ერთი პირ-უტყვი მონაწილე — დეკორაციების მემკვიდრე ბერიას ქარი და დეკორაციებს, როგორც იალქნებს მიჰყავთ,
ხომალდი უცნობ ქვეყანაში. ძველი დეკორაციები პაერში კიდია
— თეატრის თავანზე, მათ სამეფოში სიბნელეა, მაგრამ დეკო-
რაციებში იმაღლება სამუშის ძალა. ეს დეკორაციები ვეებერთელა
ფრინველებივით არიან მიჯაჭვულა თავის ანძებზე და იმათ
ესიზმრება წარსული პრეტაკლები. თუ თეატრი ხომალდია, ამ
ხომალდის კაპიტანი არის რეეისორი, მეზღვაურნი არიან აქტი-
ორები და მგზავრები — მაყურებელნი. რეეისორი არ მოსჩანს,
თუმცა ის, როგორც ჯადოქარი, განაგებს მოელს წარმოდგენის.
ერთი პოეტი თავის მონოლოგში ამბობს: „ამაყ სენიორად
გამოწყობილი, მე მოველოდი სცენაზე გამოსვლას, მაგრამ
რეეისორის შეცდომით ხუთი საუკუნით დაძაგვიანდა“. აქ პოეტს
რეეისორად თვით ღმერთი ვამოჰყავს.

სცენა და პარტერი ერთი მეტორეს ხიბლავენ და ეხმარებიან.
ალსანიშნავია ორი მომენტი, რომელიც ისახლვრებიან ფარდის
ტრანსფორმაციით. როდესაც ფარდი თერინდება მძიმე შრიალით,
თეატრში ელევტრო ქვრება, მაყურებელნი ქრომანეთს ვერ
ხედივენ და კველას მიპყრობილი აქვს თვალები სცენისთვის.
ამ დროს პარტერი ვაფითორებულ სახეებით ფანტასტიურია არა
ნაკლებ, ვიდრე სცენა. თითქო თეატრი სხვანაირდება. თეატრის
გუმბათში გამოჩნდება საფოთი, ქანდარიდან იყურებიან ანგე-
ლოზები. ლოგაში სხედან ამალით დედოფალი და მეფე, რო-
მელმაც უკვე გადააგდო ზღვის უფსკრულში შილლერის თასი.
პარტერი დარაზმულია ტურნირისათვის გამზადებულ რაინდებით
და პაერებით.

ბევრი სიყვარული იწყება და თავდება ამ სიჩუმეში, რო-
დესაც ჩვენ თითქო უსხეულო ვართ. როცა ეშვება ფარდი.
კველა სიამოვნებით უბრუნდება ანტრაკტის სანამდვილეს. ჩვენ

დაფილალეთ და გვინდა სინათლეში ახალი ძალები მოვიპოვოთ,
რომ კუყუროთ ოტელლოს ტანჯვას. ჩვენი ფანტაზია
შეებული ისვენებს. მაგრამ ანტრაკტი თავდება და ჩვენ ისევ
გადავდივართ მეორე სამყაროში. ისევ დაჭიმული ნერვები, ისევ
სიჩუმის და საბნელის კუზოტიკა, ისევ ხომალდება ტრანზიტში
ტალღებზე. ახლა დეზდემონა შეწყალებას თქმის მატერიალს
ჩვენ—მაყურებელნი გავშავდებით, როგორც ულმობელი მავრი,
ჩვენი დეპი და სატრაფოები ფითრდებიან, როგორც დეზდემონა.
ჰამლეტში მოწვეული აქტიორები თამაშობენ, რომ პრინცისა-
თვის ცხად ჰყონ მეტის დანაშაული. აქ არის თეატრი
თეატრუში. აქ არის სიზმარი სიზმარუში. ჩვენ მაყურებლები
ვვრდნობთ, როდესაც თეატრში თეატრს ვხვდებით, რომ
ჩვენს ზურგს უკან არიან უხილავი თვალები, რომელნიც ტკბე-
ბიან ჩვენი აშფოთებით, როგორც ჯაშუშები. თითქმ ჩვენს
უკან და წინ სარკეები დგანან თანამგზავრ თრეულებით. მო-
კარნასე აჩქარებული ჩურჩულით სიტყვებს ესვრის მსახიობებს.
სადარაჯო კანდელი შორს არის და პოქანცული აქტიორები,
როგორც მარიონეტები, იმეორებენ სიბილლის სიტყვებს. მაგ-
რამ ზღვაზე იმოვარდება ღელვა. მოკარნასე ჩქარობს, რომ
პიესის დასასრული მისცეს, მაგრამ ხომალდი იძირება და სიკვ-
ილის წინ იმოჰყობს თავს გაბრაზებულ მორევიდან.
როცა თავდება წარმოდგენა, ჩვენ ხომალდიდან ჩამოვდივართ,
ვტოვებთ პოეზიის ზღვას და სინამდვილის ხმელეთს ვუბრუნდებით.

თანამედროვე თეატრი ვერ სარგებლობს იმ აღმოჩენებით, რო-
მელნიც მოიტანა ახალმა ცხოვრებამ და ახალმა პოეზიამ. არტურ
რემბოს ცხოვრებიდან ავტორს შეუძლია შექმნას დიდებული
ტრაგედია. ვერლენი, ედვარ პი, ჩატერტონი, ლაფორგი, ურიან
დე ნერვალი, უალდი მომავალი ტრაგედიის გმირები არიან და
თავის ესხილებს მოელოან. არ კმარი მხოლოდ მეტერლინკის
ლირიკული ტრაგედიები. დადგა დრო, როდესაც ლირიკის
ეიზიონარულმა ხილვამ და თვით პოეტის პიროვნებამ უნდა გა-
დასწყვიტონ თეატრის ბედი. ტრაგედია არის ყველაზე უფრო
მაღალი საფეხური ხელოვნების — ეს ტრაგედია უნდა აღორძინ-
დეს — მაგრამ ახალი გმირებით და ეს იქნება თეატრი — ტიტანიკი.



მალვა დადიანი და ლადო მესხიშვილი.

შალვა დადიანი

ლადო შესხებისათვის.

5

აი სილამაზე მოუწყინარი, აი სიმშვენიერე ფერ-წაუშლელი.
ეს თანამედროვეთათვის.

შთამომავლობისათვის კი რა ჩება?

— მხოლოდ ორიოდე ფერ-მკრთალი მოგონება და... კიდევ
ერთი ბედნიერება: კინემატოგრაფიული სურათები, სადაც ლადოს
შევენიერი, ჯადოსნური თვალები კვლავ სიცოცხლით გაიქ-
ვარებენ, მისი საუცხოვო, კლასიკური თავის მოყვანილობა,
ხელ-ახლა ჩვენ თვალწინ მარმარილოს ქინდაკათ ჩიმოიძერწება.
მხოლოდ...

ვაი რომ ამ სურათებით არ დახასიათდება ლადოს ლიდი, მსა-
ხიობური ტემპერამენტი, ლადოს საცვიფრელი, მაღალი ნიჭი
არტისტობისა.

ის, რაც ჩვენ გვიყვარდა ლადოში, რა ტიპებსაც მან შეგვაჩვია
თვისი ნიჭიერი სახის ამეტყველებით მის სიცოცხლეში, სამუ-
დამოთ მიეფარა თვალს, საუკუნოთ დაიღუპა შთამომავლობი-
სათვის.

და ეგ სურათებიც... კინ მატოვრა ფილილი არა საცურნო,
დროებითია, ხრწნადი და წარმავალი.

სოლეიმანის არ იყოს: „ესა ყოფილა კაცის დიოგება!“
განსაკუთრებით მსახიობისთვის.

ეს კეშმარიტება ბავშებმაც კი იციან ეხლა.

მხოლოდ ლადო ჩვენთვის უკვდავია, როგორც აღინიშნა კიდეც,
მიტომ რომ — მისი სული არ მოკვდება ქართულ თეატრში ე.
ი. მისი ტრადიცია საღრამო ხელოვნებისა, მისი დიადი მანერა
მსახიობობისა, მისი ფერადები, მისი ღონისძიებანი ტიპთა გან-
სახიერებისა.

მართალია აქტიორობას არა აქვს თავისი „მათემათიკური“ კა-
ნონები, თითქო ისე თვალში მოსავარდნი, ზაგრომ ის, რაც
გაუკვლევიათ რჩეულ მსახიობთ. ადამიანის როულ ფსიქიურ
ლაბირინთის გამოსახვაში, ისიც ერთ-გვარი კანონმდებლობაა
და ლადო ხომ უსათუოდ რჩეული იყო, უსათუოდ კანონმდე-
ბელი, უსათუოდ მამათმთავარი საღრამო ხელოვნების ხორც-
ასხმულობისა ჩვენს თეატრში.

თუ ჩვენ ამიერილგან კომიკური გზები ჩვენის თეატრის ვასო
აბაშიძიდან უნდა დავიწყოთ, საღრამო მსვლელობაშიაც ლადოს
ხელოვნების ფართო ეზოდან უნდა გამოვიდეთ.

მაშასადამე არასოდეს არ გვაწყებს თუნდა მკრთალი გახსენებაც
ლადოს მიერ შექმნილ იმ ზოგიერთ სახეებისა, რომელიც ისე
გვატავევებდა მის თანამედროვეებს ავერ თცი, თცდახუთი
წელიწადია, რაიც ასე გვხიბლავდა, რამაც ეგრე მოგვაჯადოვა.
დავიწყოთ უფრო დავიწყებულ სახეებიდნ:

უმნიშვნელო პიესა, ნაძალადევი მელოდრამა რუსი ავტორის,
რაკშანინისა — „გულის თქმა“.

ლადო — ტამილინი. ეს რუსის „მოდევნებული“ ინტელიგენტი.
შესახედაობა მწყაზარი, წაბლის ფერი კოხტა წვერები, ლამა-
ზი, კოკობა ულვაშები, თვალებში მელანქოლია, სახე ფერ-
მიხდილი, მოქანცული, გამოცდილი მანერები. მოწყენილობა
სახლში. გულ-გრილობა ცოლთან. სქესობრივი აღტკინება შეზო-
ბელ ქალისადმი. პატოლოგიური სიყვარული.

და აი მესამე მოქმედება:

ლადო-ტამილინი მოდის მეზობელ ქალთან რანდევულზე, სრულად
სიმშვიდე სხეულში, სახეზე. შედის ქალის საწოლ თამაში და
ახრიმბს მას (კულისებში).

მაგრამ საქმე მისი გამოსვლაა. ეს მწყაზარი კაცი უსტე მეტაური
თანანებიანი და ცილინდრიანი იდამიანი თმა-აბურძენული,
„გალსტუკ“-მორლვეული, სახელობ გადაკაპიწებული გიუკით
გამორბის იმ ოთახიდან, სადაც ესეთი საშინელი ღანაშაული
ჩაიდინა და რა არ წერია მის თვალებზე. ო, ეს თვალები, ლადოს
საარაკო თვალები!.. სიხარული, რომ ეინი აისრულა, მოჰკლა
ის ადამიანი, რომელიც ჰგონია, რომ უნდა მოეკლა, შიში,
რომ შეიძლება ვინმემ შემოუსწროს და გამომეღავნდეს მისი
დანაშაული, ერთგვარი გამოუთქმელი გრძნობა ზინდისა, რომ
მან ყოვლად „წესიერმა“ და ზრდილმა-კაცმა ესეთი „უშვერი“
საქმე ჩაიდინა, ყოველივე ეს ერთსა და იმავე დროს ერთი და
იმავე სიძლიერით გამოთქმული, მაგრამ აი ბოლოს და ბოლოს
ყოველივეს ჩრდილავს აღელვება ფიზიკური, შიში ინსტიქტიური,
მხოლოდ თქვენ ატყობთ, რომ ცივი გონება სასტიკათ ებრძების
„მოჯრილ“ გრძნობებს და თანდათან ამშვიდებს სხეულის თრთო-
ლვას. აი ლამაზმა კაცმა უწინარეს ყოვლისა გაისწორა სახელოები,
„გალსტუკი“, სერთუკი, თმები, მიერიდა მაგიდასთან, ჩამოასხა
ჭიქაში სურიდან წყალი. და აქ მოგესმით როგორ რაკუნებს
ლადო ტამილინის ხელში ჭრა ლამბაქზე. ეს ისე ბუნებრივია,
ისეთი დიდი ხელოვნური სიმარტივით გადმონაცემი, რომ თქვენ
გჯერათ ყოველივე ეს. თქვენ ამ ეამაღ თითქო თანაზიარი გა-
ხდით დიდი დამნაშავის სულიერი განცდისა და აი თქვენ ც
თითქო ლადოსთან ერთად თანდათან ჰპოებთ სულიერ სიმშვი-
დეს, იცამთ ხელთათმანებს, იხურიათ ცილინდრს, პაწია წკეპ-
ლაც, სადღაც სკამზე მიგდებული, ისიც კი არ დაგვიწყებით და
სრულიად გონს მოგებული, დამშვიდებული გადიხართ ამ ჯოჯო
ხეთურ სახლიდან, საცა ესეთი მოუშორებელი ლაქა მოგეცხოთ
თქვენი სინიდისის წინაშე მაინც. გადიხართ ჰაერზე, ბალში,
რომელიც სრულიად დაგამშვიდებთ და გამოგაფხინდებთ.

დიახ, გახველით ამ სახლიდან ე. ი. ჯადოქარი ლადო გავიდა
და ეს მხოლოდ მაშინ იგრძენით, როდესაც მისი საყვარელი

ნაკვეთი მიგეფარათ თვალთაგან, მაშინ მიხედით, რომ თვალზი
იყავით და... ა სხვებთან ერთად ტაშით აგუგუნდით.
ეს იყო მაღალი ხელოვნება. თუ ვიქტორ ჰიუგო ამბობს, რომ
ძნელია ადამიანის სულში ჩახედვა და მით უფრო ეფასაშავის
სულშით, ეს ლადომ საოცარის ხელოვნებით და ტექნიკით
მოხერხა და საშინელ უფსერულში, დამნაცვე ადამიანის სულ-
ში ერთის განათებით ჩაგახედათ, გაგიშუქათ ეს ბნელი კუთხეც,
რომელიც უთუოდ თქვენს ბუნებასაც თან ახლავს და მით გა-
ზიარათ მარადიულ ტალღებს დაავადებულ ფსიქიკისას
და ამითი ლადომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მოწინაღმდევებს,
რომელთაც არა სჯერათ მსახიობის ხელოვნებაც, დიდათ მაღა-
ლია. ამისათვის შიუტევებთ ლადოს, რომ სხვათიც ესეთი
ტლანქი პიესა დაგიდგათ. ლადოს ხელში მესამე მოქმედება იყო
სრული გამომსყიდველი რუსი-ავტორის უხეშობისა.

მაგრამ აუკი რობერტი ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხში“. ეს
აფ-ზინიანი ნერვების პატრონი ვაბუკი. მისი განუყრელი მოკლე
ჩიბუხი პირში და უდროოთ ჩამჭენარი, ჩაყვითლებული ახალ-
გაზდა სახე. ექაც უმწევერვალეს გაანჩხლების შემდეგ ნერვიული
ანთება ჩიბუხისა, ასანთი რომ ხშირ-ხშირ უქრება და აკანკა-
ლებულ ხელის გამო ცეცხლი თამბაქოს კი არა ხედება არამედ
ხან ტარს ჩიბუხისას ხან ძროს, ან ხან სულ აცილებს. ექაც
ბუნებრიობა, აქაც ხელოვნური სიმარტივე. მარტო ამ ჩიბუხის
ანთების საცეკრლათ უნდა მოსულიყოთ.

მაგრამ ეხლი სულ სხვა მხარე მისი გამომსახუელობისა. პრინცი
„იაკობინელებში“. ეს სულ უმნიშვნელოდ და აქ მხოლოდ გარე-
გნობაზეა საქმე: ლადოს თეთრი თმა შევად ჰერულა, კიდევ
უფრო დაკულულებული, ულვაშები მხოლოდ ამწვანებია და
მოსხლეტილ ვაჟაცს შევნის შოტლანდური აბჯარ—მოსილება.
მარტო მისი შემოსვლა! ძალაუნებურათ ტაშს უკრავთ ამ დარღი-
მანდათ მომავალ ვაბუკ-პრინცს. რამდენი მიმზიდველობაა, რა
ეში და სანდომიანობა. ამისთანა პრინცს ქალები უსათუოდ
შეიყვარებენ და ვაბუკები მისთვეს თავს დასდებენ. სხვა არაფერიც
არ არის საჭირო ამ როლისათვის. თუნდაც არაფერი სთქვას.

“უნდა შემდეგ მოქმედებებში სულ ნე იმოქმედებს. ტიპი უკვე
შექმნილია.

და რომელი ერთი.

შეგრამ მივიღეთ უფრო ახლოს, იმ მწვერვალზე, ეროვნული მწვერვალი და რა მწვერვალიც ჩვენ უკველაპერ უფრო გვიყვარდა.

ექვემდება უფრო უკანასკნეს „ურიელ აკოსტას“.

ჩემის ფიქრით ეს იყო ლადოს მიერ კველაზე უფრო დამთავ-
რებული და კველაზე უნაზესი შენაქმი.

ლადოს შეიძლება არ დაეთანხმოთ როლის გაშუქებაში. აკოსტა
ავტორის აზრით უწინარეს ყოვლისა მთაზროვნეა, ფილოსო-
ფოსი და მისი ტრაგედიაც ამ აზროვნების კონფლიქტშია მო-
თავსებული. მე მინახავს ადელჭეიმი. ამ როლში ის სწორეთ
ამ აზროვნულ მხარეს აქცევდა ყურადღებას. მინახავს გრიმი
ცნობილ გერმანელ მსახიობის ბარნაისა. გრიმზე უფრო ფილო-
სოფიური მეტყველებაა აღბეჭდილი და მე მგონია ავტორსაც
სასიყვარულო ინტრიგა პიესაში მხოლოდ ეპიზოდიურათ აქვს
შეტანილი, რომ პიესა მშრალი არ იყენეს.

ლადო კი სულ სხვა გვარ სჯიდა და ჩვენ შეიძლება „დოქტრი-
ნერებს“ გვამარცხებდა კიდევ თავის მსჯელობით. მან უკეთ
იკავდა, რომ განკუნებული ნაკლებ აჩქროლებს გულს. ისიც
სასიყვარულო მხარეს როლისას უსვამდა ხახს.

ამის დამამტკიცებელია ლეონიდ ანდრეევის ორი პიესაც; „დღე-
ნი ჩვენი ცხოვრებისა“ და „Gaudeamus“-ი. ორივე თითქმის
ერთსა და იმავე თემაზე, რომ გვაჩვენოს 90 წლების რესის
სტუდენტობის ყოფა-ცხოვრება და ზნეობრივი ავლა-დიდება.

„Gaudeamus“-ში, ჩემის ფიქრით, მეტი ტრაგედია, უფრო მეტი
ხელისმოსმითაც არის სტუდენტების ცხოვრება გამოხატული.
ხელს კი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ უფრო მოსწონს. „ოლა
და კოლას“ სასიყვარულო ინტრიგა უფრო იტაცებს.

ლადოც აკოსტაში უფრო ხალხთან იყო.

„ივლით, ივლით!“-ეს გულიდან ამონაჯენესი ხმა. „ისიც გამ-
შორდა! — ცრემლების ყლაპეით წარმოთქმული ან და კველაზე
უშვენიერესი, — ბოლო აქტში: „ბეჭდები შესუალებე!“. —

ეხლაც ყურაში მიღვანან ეს ფრაზები. ხაკმათა ეს ხამა ფრაზა
ლოდოსგან თქმული, რომ მსენელი მოიხიბლოს და თანდებრინო-
ბით განიმსკვილოს ურიელისალმი. ამის შემდეგ თქვენ მის მენა-
კიბასთან კამათისც სიამოვნებით ისმენთ, ნიღებისთანაც । მის
მშრალ პატქრობას. თქვენ დაპყრობილი ხროთ და უკუკ- მის
ფილოსოფიასაც ხალისით თან დაპყვებით. უამისოთ ვინიცის
ნაკლებ დაგვეჯერებინათ აკოსტის. ზეგრამ ჯადოსანმა ლადობ
ჯერ სწორედ ეს ადამიანური მომხიბლაობა აკოსტის ბუნებისა
გამოჰტინა წინ და მით მიგვიზიდა თავისკენ. მერე როგორი
გარეგანი სამოსით მოხავდა იგი აკოსტის. ჯერ ერთი ტანსა-
ცმელიც მისგან იყო შეთხშული. ისპანიური ჯუბა, მხოლოდ
სახელოებ-გაშლილი, ქართულ ყურთმაჯახისებ, ტრიკო, მოკლე
ზარვილი, „ტუფლები“ და რბილი ქეჩ-ქუდი. სულ ცველაფერი
ზეი ფერისა.

ზეი კოხტა წვერულვაში, მხრებამდე დაყრილი ზეი, ხუჭოჭათშა.
მართლა გავდა ქრისტეს, ძველ მხატვართაგან შესრულებულს,
განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, რ. იდესაც თეთრ გრძელ
პერანგში იყო გახვეული.

აკოსტის სურათი დარჩა, მაგრამ სურათის ბევრი აკლია სიცხა-
დემდე, ეგ მხოლოდ თითქო ლანდით სინამდვილისა.

და რამდენი მოგონება დაკავშირებული ამ „აკოსტასთან“.
ქუთაისში პირველად მისი დადგმა, შემდეგ გამგზავრება ბათომშ
და ზეი ზღვის პირა ქალაქებში. თითქმის უსუფლიოროდ რომ
ვის „ულებდით ვთელს პიესას.

ულაზაზესი იკდითა ქართულს სკუნაზე, განსვენებული ავალი-
ზეილის ქალი, კოტე ყიფიანი დე-სილვა, საკოდავი დეპინე
ივანიძისა, შვევნიერი აღმასრულებელი ურიელის დედის, და-
თიკო ჩარკვიანი ბენ-იოხაი, გუნია ბენ-აკიბა და სხვ. მეც ხან
დე-სანტროს, ხან დე-სილვა.

რამდენი გულწრფელი აღტაცება ხალხისა, მასხიობებისა, ოვა-
ციები.

ერთი ლამე ქუთაისში:

ურიელ აკოსტა პირველად. შვევნიერი აღსრულება ლადოს
მხრივ, სრული გაშლა მისი ზღვა ტემპერამენტისა,

յօրից օնսամելո, բա՛ն, ցամո՞ցք զա գաղաւուլցելո. մացրամ ու
սածոլառտ համոցմա դարձա. ներցեց նշանակութան, առ ջայ-
տինցա. ցանցա և լուս օճախուլցեց մզւալումով մեջեցանց
ցոլապարայոտ, ցանցահոտ յրտո մցորց հայն ըստցուարու
տիտուլցանո.

լուսու և սերմիռանցու դցան. ու սնդա պայլան ցամոցու կոցոտ
յիտո մցորց. մացրամ լուսու մյ առ մելցա.

— Բամու հիմտան, նոմերին.

Ի գումա և սերմիռանց հիմտցուն.

Ցուցուցարտ ճա կուցց գուման, գուման ցանցանան.

լուսու մուսցենցեցու լուցունց, նոնանանց.

Մյ չըր ասցու առ մոնանց.

Ի սառցարու, լուցրոտ!

Ես սանց ասցու նոլուտունանց ի գուման, ի գուման առաջարոցո.

Ցուցուցարտ մանուն ցուցունց ու ի գուման ցանցանան

նունուց անցա պայլանուս աճամունուն, հիւլու աճամունուն սանց.

մացրամ ու հայտնու լուսուն. մյ չըր անցուց տցալու. գուման 11

նունուց.

Նունուց ես կանասուցու նունու լուսուն ցուցու սունանուն

մարտարուցուն.

մացրամ ու ցանցուն. չըր և առաջարոտ. 7 սաստու ու ունցա

ցուցուն. ցուցուն ու ունցան. սաւ ի գուման?

— մամաստան, հիմտան անցունց մյ ճա.. մուցուցարտ.

Ես ծովմերանու յալու հիմտ ի գուման առաջարոտ անցուն մյ ծով-

հատ մանց սպարուն, ցանցուցուն կանց.

Ցուցուցարտ մամաստան ճա ցեղա ոյ մատու սանցարու եղանցենցան,

սայարուցունց, չըր սպարուն.

ուրմբ լուսու ցանցուարուցուն յալու պատունա.

ի գուման առաջարոտ սպանուն ճա եղանցենցուն ու ունցա յարացեցուն

կանցուն սրուլուն ճա մարտարոտ ամ նունուն մասնուն մասնուն.

Ճա ցանց մյ ցուցուն ասց մարտու. մյ ռումելու ու ունցա առաջարոտ

առ ցանց մյ ցուցուն ասց մարտու. մյ ռումելու ու ունցա առաջարոտ

առ ցանց մյ ցուցուն ասց մարտու. մյ ռումելու ու ունցա առաջարոտ

առ ցանց մյ ցուցուն ասց մարտու. մյ ռումելու ու ունցա առաջարոտ

առ ցանց մյ ցուցուն ասց մարտու. մյ ռումելու ու ունցա առաջարոտ

შაგრამ უკუ ვაგდოთ ლირიზმი. ლადოზე მე წინეთაც მითქვაშ
ბევრჯერ და დამიწერია კიდეც.
გავისხენოთ ისევ მისი ფრანცი.

კუზიანი, ცხვირ-ბუშტა, წითელ-თმიანი, ტაქორიფლული] სახით
და თითქო მუხლ-გადმობრუნებული, კოჭლის ხაშჩელება.
შეიძლება არც ეს იყო მართალი განსახიერება, მაგრამ როგორ
ნათლად გრძნობდით რა დიდ მსახიობთან გქონდათ საქცე.
მას შემდეგ ამ როლში ქართულ სცენაზე ბევრი ვერ გაექცა
მისგან შექმნილ ტრაფარეტს და ამიტომ ქარიყატურა გამოუ-
ვიდა, ხოლო ვინც გადასცდა მის ფარგალს, დამარცხდა. ხალ-
ხშა იგი არ შეიგუა. ისეთი ლრმა კვალი ჩასტოვა ამ როლში
ლადოს საოცარმა ნიჭმა.

იყითხავთ ჰამლეტს.

შე არ მომწონდა მისი ჰამლეტი.

შეიძლება ამის მიზეზი იტალიელი ბუმბერაზი ერნესტი როსი იყო
შე იგი ვნახე ჩემი სიყმაწვილის და როსის გადახრილობის ეამს.
ამას აქვს მნიშვნელობა.

სიყმაწვილის შთაბეჭდილება უზარმაზარია და გამოუხუნებელი.
როსის მოხუცება კი ჰამლეტისათვის საზარალია.

ჰამლეტი სულით არის მოხუცებული მხოლოდ.

მაინც ამ ჭარბავ როსი-ჰამლეტის ნახვის შემდეგ ლადომ ვერ
დამაკმაყოფილა.

მართალია მე იტალიური არც ეხლა მესმის, როსი კი იტალიუ-
რად ასრულებდა, მაგრამ იმდენათ გამომეტყველი იყო მისი
ასრულება და ჩემი ნაცნობობაც პიესასთან არ იყო ისე ზერელი:
რომ ვერ მიმხვდარვიყავ როსის სახეობას.

ლადო ის იყო ჰამლეტში, რასაც თვითონ ამბობდა: მე იმას
ვიდლევი, რასაც ევროპიელი მსახიობებიო და ეს გარევნობით
ასეც იყო, მაგრამ უთუოდ აქაც ჰამლეტის ფილოსოფიური მხა-
რე სძლევდა ლადოს და მოგეხსენებათ ჰამლეტს სასიყვარულო
გასაქანები ნაკლებათ აქვს. მისი განსჯა და აზრი, ვიტყვი თამაზ
სიტყვას, ერთგვარ ლირიზმაც მოკლებულია.

ჰამლეტი განყენებული აზროვნება უფრო და ესეთი ფარგლები
არ ეხალისებოდა ლადოს მსახიობურ ტემპერამენტს.

რაღა თქმა უნდა ლადო ჰამლეტისთვისაც უაღრესი მაღლობის
ღირსია, რომ ეს მსოფლიო ლიტერატურის დიადი გმირი იღო-
ასი არ იყოს „გაგვიშინაურა“ და გაგვიშინაურა როგორ:
გარენობით ლადოსთანა მოხდენილი ჰამლეტი იშვიათის. ზედ
მიწევნით კარგა ჩაცმული, ულამაზესი, სევდა-მოპყრობილი სა-
ხე და პოზები, პოზები ისეთი, რომელიც მხატვრის კალაძეს
გამოიწვევს ტილოზე ასახმაურებლათ. უკველივე ეს დიდი გან-
ძია, რომ ისეთი სამოსით მოვისმინოთ სცენიდან შექსპირის
უკვდავი, ჰენიოსური სიტუაციი.

მაგრამ რასპლიუევი, გოროდნიჩი, ასტროვსკის „შემოსავლიან
აღვილში“ ძველი მიხელე?

ეს სულ სხვა სფეროა ლადოს შემოქმედებისა. უკველა ეს რო-
ლები თითქო უფრო კომიკ მსახიობისაა, მაგრამ ლადო როგორ
მაღლდება ამ როლებშიაც.

განსაკუთრებით „გოროდნიჩში“.

უკველას „რასპლიუევი“ უფრო ახსოვს, მაგრამ უსათუოდ დიდათ
აღსანიშნავია „გოროდნოჩი“.

კვიანი და გაიძვერა. უფლების მოყვარე და რკინის მაჯიანი.
არავითარი შარეუ, არც ერთი გაქანება იაფ-ფასიან კომიზმისა-
კენ. ნამდვილათ ტრაგიული ფიგურა შავ-ბნელი რუსეთისა. და
მართვის არაერი არ ეცინება ლადო-გოროდნოჩის მოქმედებაზე.
განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. იგი მაღლდება ტრაგე-
დიამდე. აღარ გვცინებათ, მხოლოდ უსიამოვნო გრძნობა:-რა
ცუდი მოწყობილია ცხოვრება, როგორ გასულელდება კვიანი
კაციც კი ესეთ უხეირო პირობებში, რომელიც შექმნილია
თვით სკოზნიკ-დმუხანოვსკების მიერ.

აქაც ლადო გვასწავლის თუ როგორ სერიოზულათ უნდა მო-
ვეპყრათ გაიძვერა ბუნებათა შესწავლას. აქაც ერთი გადახედვა
აღამიანის სულის უფსკრულისაკენ.

და თქვენ კმაყოფილი მოღიხართ თეატრიდან. შეიძლება დღეს
ნაკლები იცინეთ, მაგრამ ეგრე გვინდა, ეგრე გვეკადრება—
მაგისთანა მათრახი! ეგრე ჩაგვაფიქრე!

შეიძლება დავგმოთ აწმუნ და მოვიდეთ იმ დიდ რევოლუციამდე,
რომელსაც მაშინდელი რუსეთის პროტესტანტი მოქალაქე

მოელოდა.

სწორეთ დიდი მსახიობი გარდაიცვალა!

შრავალ-ფეროვანი, მაღალ-ნიჭირი.

შროტლა ჯავარი და შშვენება ჩვენი სცენისა, მარტლესა კუშის
ჩვენი სახიობისა.



მე კი, ლადო, როგორ მინდა შენთან ჩუმი, განმარტოებული
გამოხაუბრება.

რა კუკი ამ მოზღვაებულ გრძნობებს.

ვერც შენს საფლავზე ვთქვი რამ!

ნუ თუ მემდური?

ბევრი რამ მინდოდა შეთქვა, ბევრი.

ჟაგრამ განა მეგობრის გული ამოიწურება, როდესაც იქ ისეთი
მრავალ-ფეროვანი მასალაა დაგროვილი, როგორათაც შენი
მსახიობობა იყო, როგორათაც თვით შენი მრავალფეროვანი
ცხოვრება იყო.

14 ეხლა მხოლოდ ეს ღა უნდა ითქვას, რაც ვიღაც ერთმა სთქვა
გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებისას:

— ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გაბრიელის დროს, ვცხოვრობდითო
საერთოდ მართალია! ჩვენ თანამედროვე, ხანდაზმული ქართვე-
ლები ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობდით ილის, აკაკის და
სხვა დიდ მოწინავეთა დროს.

ჩვენ მსახიობები კერძოთ კი ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრ-
ობდით დიდ ლადოს დროს და ვეზიარეთ მის მშვენიერ. ფერ-
წაუშლელ მხატვრულ შემოქმედებას, მის ესთეტიურ სილამაზეს
მოუწყინარს.



ჰარები პოზიტივის.

„ჰეთური ნიამთრული“ და „შვილდოსანი“

1919 წელს ოქმერვალში ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილი რედაქტორობით გამოვიდა ეურნალი „მეოცნებე ნიამთრები“, მხოლოდ 1920 წლის იანვარში სანდრო ცირეკიძის რედაქტორობით კი ეურნალი „შვილდოსანი“. ვინაიდან ამ ორ ზემოხსენებულ მგოსნებს და მათ ეურნალებს „მეოცნებე ნიამთრები“ — „შვილდოსან“-ს დიდი კავშირი იქვთ ჩვენს მწერლობაში ახალ მიმართულებასთან, ეგრეთ წილდებულ ქართულ მოდერნიზმთან და იმ ახალგაზდა მგოსნების პლეიიადასთან, რომელიც 1915 წელს პაოლო იაშვილიაურთ მოვლინა ქ. ქუთაისს და რომლის რედაქტორობებითაც საზოგადოებამ 1916 წელს იხილა შედეგი მათი შემოქმედებისა — „კისფერი ყანწები“, ამისათვის სანამ „მეოცნებე ნიამთრები“-ს და „შვილდოსან“-ს შევეხებოდეთ, აუცილებლათ მიგვაჩინია მოკლეთ შევეხოთ იმ დროს, როდესაც 1915 წელს პაოლო იაშვილთან ერთად გამოვიდნენ აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კოლაუნადირაძე და სხვანი და რომელთა გამოსვლამაც ერთგვარათ შეარყია საზოგადოებრივი აზრი.

მათი გამოსვლა იყო ახალი მოვლენა არა მარტო ქუთაისისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ვინაიდან მათი სიტყვა იყო ახალი სიტყვა, სიტყვა მძლავრი და შეუძრეკელი. ეს იყო ახალი სიო, ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ ქართული მოდერნიზმი. ვალაპარაკოთ ამის შესახებ გრიგოლ რობაქიძე:

„1915 წლის დასაწყისში ქუთაისზე ელვის სისწრაფით გაისმა ვით შორიდან მოსულ ფრინველთა სიმღერა ახალ მხატვრულ ხიტყვის ქადაგება. ქუთაისი აფორიაქდა. უჩვეულო ქალაქია: ის — უცილობლათ მეტაფიზიკურ «ობივატელობის» გენიალური გამოხატულებაა, — და მასთანვე, განსაკუთრებულათ თავისებური.... „კეშმარიტად და ტრალიკულია ქუთაისი თავის «ობივატელობაში»....

„და ქუთაისის «აფორიაქება» საბასუხოთ ამ ახალ სიტყვის ქადა-
გებაზე ბუნებრივი მოვლენა იყო.

„ის ახალგაზდები, რომლებმაც თავის ახალი სიმღერით დაარ-
ღვიეს ქუთაისის ქუჩების უდარდელი სიმშვიდეს, ჩყვნენ პხლად
გამოსული მგოსნები: პალლო იაშვილი, გალაქტიმიშვილი ტაბიძე,
ტიტიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე.
ცხავრების განცდათა მოდერნის ტული სტილი სამხატვრო
სიტყვის მწყობრ განსახიერებაში--ი რა იყო იმათი აღთქმის
ახალი ხაზი და ქუთაისის დუქნები უცბათ გადაიქცა პარიზის
სალიტერატურო კაფეებათ, საღაც არღნის ხმასთან და აუც-
ლებელ «მრავალ ეამიერა-თან ერთად გისმა საყვარელი სახე-
ლებიც: ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცეს
და ოსკარ უილდი, პოლ ვერლენი და სტეფან შალარშე,
ხოშე-მარია ერდია და ემილ ვერხარენი, კონსტანტინე ბალ-
შონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ
ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრე ბლოკი და სხ. „
(ჟურნალი „Ags“-ი № 1. 1918. კრიკოლ რობაქიძის წერილი:

Грузинскій Модернізм. გვ. 46).

„ცისფერ ყანწებ“-მა, რომელიც 1916-ში გაზაფხულზე და ზამ-
თარში გამოვიდა, ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა
გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია პრესასა და საზოგადოებაში.

„ცისფერ ყანწებ“-მა და ყანწელებმა (ასე ვგულისხმობთ მგო-
სანთა ამ პლეიიდას) უარყვეს ძველი სკოლა და შექმნეს ახალი.

„ბრძოლის ველი მოიფინა ძველი არმაზების ნამსხრევებით.
დღეს აღარ გვაწუხებს მათი ყვითელი გამონათება. ახალი შეკ-
ლა შეიმოსა გამარჯვებულის სამოსით. «ცისფერი ყანწებია-ს
ვუალით დასეირნობენ დღეს ჩვენში პოეზის მსახურნი». („მე-
ოცნებე ნიამორები“ თებერვალი 1919. შალვა აფხაიძე: ქარ-
თული პოეზის პერსპექტივები. გვ. 9).

1917 წლის ოვენტურიამ „ყანწელთა“ ჯვუფის დიდი ნაწილი
თავისივე „ცისფერ ყანწები“-თ გადაიტყორცა ქ. თფილისში;
1918-ში ჩვენ იქ ვხედავთ პალლო იაშვილს, გალაქტიმიშვილი და
ტიტიან ტაბიძეებს და სხვებს. ეს ჯვუფი ახმაურდა კვლავ,
მხოლოდ უკვე დედა—ქალაქში, აღმოსავლეთ საქართველოში.

დასაცლეთ საქართველოს კი, ქალაქ ქუთაისს შეტანა გალერიან
გაფრინდაშვილი, რომლის ირგვლივ თანდათან იმატა ახალ ძა-
ლებმა და ამგვარათ უკვე იგი კარგათ მოღონიერდა, და ო-
კი აპოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსწორების და გა-
გაძედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით და შემცი-
როვ მხრით დასავლეთიკ გაიშმუშნა ვალერიან გაფრინდაშვილ-
ში, თავისი შეზღუდველი ფანტასტიკით, ინდივიდუალიზაციის
ავათმყოფობით, შეშინებულ სახეებით.“ („მეოცნებე ნიამო-
რები“ თებერვალი 1919. შ. აფხაძე. ქართულ პოეზიის პერ-
სპექტივები. გვ. 10).

მართალია ხმაურობს თფილისი, მაგრამ არ დადუშებულა ქუთა-
ისიც, რომელიც ამ „შემთხვევაში საზოგადოთ აწარმოებს ნამ-
დვილ იკადემიურ მუშაობას. თუ კი დღემდის ჩვენ ვერ ვხე-
დავთ თფილისში „ყანწელთა“ -ცისფერ ყანწებ“-ს, თუ არ
მივიღეთ მხედველობაში უკანასკნელ ხანებში ყანწელთა კარგ
გემოვნებით გამოცემული პოეზია-ესთეტიკა-პოლიტიკის ფურ-
ცელი გაზირის სახით „ბარიკადი“-ს სამი ნომერი, სამავიეროთ
ქუთაისში დარჩენილი ამ „ყანწელთა“ ჯგუფი ისე გაძლიერდა,
რომ სულ მოკლე ხნში მან შემოგვთავაზა „მეოცნებე ნიამო-
რები“-ს ოთხი ნომერი (შეხუთე იბეჭდება), „შვილდოსანი“-ს
ორი ნომერი და აგრეთვე სანდრო ცირკების გემოვნებით და
ხელმძღვანელობით გამოცემული „კირჩხიბი“-ს მშვენიერი გამო-
ცემები: სტეფან მალარმეს „ლექსები და პროზა“, „ახალ პოე-
ზის ანტოლოგია“ და ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“,
რომელსაც მოჰყვა კოლაუ ნადირაძის ლექსთა კრებული
„ბალდაჩინი“.

„მეოცნებე ნიამორები“-ს ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ ახალ
მგლისნებს, რომელიც „ცისფერ ყანწებ“-ში არ ყოფილან. ესენი
არიან: შალვა აფხაძე, რაედენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ინ-
რე-ქანი, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა მარიაჯიბი, სერგო
კლიდიაშვილი, დია ჩიანელი, ტრისტან მაჩაბელი; აქ არიან
აგრეთვე ჩვენთვის უკვე ნაცნობი მგლისნები: გრიგოლ რობაგიძე
(„უადლი პარიზში“, „დილი შუადლე“, „ვასაკა“, „ვასილ
ქამენსკის“), პაოლო იაშვილი („ოფელის როდენის კავალერის“,

„უფობორტრეტი“), ტიტიან ტაბიდე („პეტერბურგი“, „2 აპრილი“). „ფატიან ხატუნი“), ვალერიან გაფრინდაშვილი („მისტიური ჰარულია“, „ჯვარისწერები დაისში“, „დაისი მესამე“, „ზამთრის დღეების გასვენება“, „ჯვარის დაწერა მირვაჭულურები“), კოლიუ ნიდირაძე („ივანე მიჩაბელის“, „ბალაზებიშვილი უცყვლები აფრობიოგრაფია“, „L'art“), გრ. ჯაფარი („Requiem“, „თეთრი კარიერი“, „ბინდის ფერები“, „სალამოები ზღვის პირზე“), ივ. ყიფიანი („არიერაება“), ლელი ჯაფარიძე („მატარებლიდან“). „მეოცნებე ნიამორები“-ს ფურცლებზე პოეზიის გარდა იდგილი აქვს ავრეთვე მხატვრულ პროზას (სანდრო ცირკების „ლიაზ“ და 6. ლ. „მთვარიან ლამის ჩრდილში“). იქვე ვნახულობთ ფურადებალებ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგალითად აღსანიშნავია ვალერიან გაფრინდაშვილის „სონეტის პრობლემა“, „სტეფან მალარმე“, „შენიშვნები ლირიკაზე“, „დავით გურაშიშვილი“ („მეოცნებე ნიამორები“-ს №№ 1, 2, 3 და 4).

რაც შეეხება პროზის თეორეთიულ განხილვას, ეს პირველით დაიწყო „მეოცნებე ნიამორები“-ს და „შვილდოსანი“-ს ფურცლებზე სანდრო ცირკებიდემ. მის კალამს ეკუთვნის „მინიატურა“ („მეოცნებე ნიამორები“ № 1), „სათაური პოეზიაში“ („მეოცნებე ნიამორები“ № 3) და „ორსახიანი იანუსი“ („შვილდოსანი“ № 2 — 3).

თვით ფურნალი „შვილდოსანიც“, რომელიც ქუთაისის „ყანწელთა“ ფრთის გაძლიერებათ უნდა ჩითვალოს, იმავე შემადგენლობას შეიცავს, რასაც ვხედავდით „მეოცნებე ნიამორები“-ში. „შვილდოსანი“ შევსებაა „მეოცნებე ნიამორები“-ს და მასთანვე ის არის თავისებური თავისი სიახლით. იქაც ჩვენ ვხედავთ ყველა იმათ, ვინც „მეოცნებე ნიამორებს“ აწედიდა მასალას; აქაც იგივე მკვეთრი სიტყვა, იგივე სიახლე; ისეთივე დაცვა და განმარტება ქართულ მწერლობის ახალ მიმართულებისა, როგორიც იყო „მეოცნებე ნიამორებში“.

საერთოთ ქუთაისში უმთავრესათ შეიქმნა ამ ახალ მიმართულებისათვის ნიადაგი თავიდანვე, ქუთაისიდანვე გავრცელდა საქართველოს ყველა კუთხეში მოდერნიზმი და ქუთაისის წყალობით კურნედა მას მრავალი თაყვანისმცემლები. დღესაც ქუთაისი

გინდგრძობს ამ მხრივ თავის აკადემიურ შუშაობას და ვალეტისან
გაფრინდა შეიღლის „მეოპნებე ნიამორები“ და სანდორ ცირეკისის
„შვილდოსანი“ კვლავ იმ ორჩეულ გზით მიღიან, რომელიც
ნიმდვილათ ამართლებს სიმბოლიზმს საქართველო შეი.

„ქუთაისში გეიჩენა წიგნის კულტურა.
„....აქ უნდა ვეძიოთ სიმბოლიზმის პირველი გამართლება საქარ-
თველოში“. (შვილდოსანი № 1. 1920. ვ. აფხაძე. ლიტერა-
ტურული პროფილები. გვ. 20).



სახელმწიფო თეატრების დირექტორი
ალ. წერებულავა.

მ. პიოლერლის ქანდაკება — შერქო.



სახელმწიფო დრამის რეჟისორი
აგაგი ლადავა.

მ. პიოლერლის შერქო.



Fata-Morgana.

ଫିଲକାର୍ତ୍ତନ ପିଯାଏ ଦେଖେଥା ସାରକିଳ
ମେ—ଶାକ୍ରିଗିଲ୍ ମତଙ୍ଗାରୁକ ନାହୁରିନ.
ଫା ମନ୍ଦିରାର୍ତ୍ତନ ପିଲ ଶୁଭରା କାରଗିଲ
ମେଣ ରଜରାନ୍ତେଶ୍ଵରୀ ରା ଶୁଦ୍ଧାରୁରି.

ମାଗର୍ତ୍ତନ ଫିଲିଲ୍ ରା ଶୁଦ୍ଧାରୁଲ୍ ଏଣ୍ଜେବ୍ରୁ
ଦନ୍ତନ୍ତମିଳିଲ୍ଲୋ ମେ କଣ୍ଜେ ଏଗୋର୍ତ୍ତନ.
ଶଲ୍ପାଶାର୍ତ୍ତନ-ଶୁଲ୍ଲି କାନ୍ଦାଲ୍ପେବ୍ରୁ,
ଫାଦରୁନ୍ଦେଶ୍ଵରୁଲ୍ ପିଜ ଶାତମାନ୍ଦିତାନ.

ମେ ମେଣ ଶୁଭରୁଲ୍ ପାର ମନ୍ଦିରିକାଳି.
ଏଠ ପ୍ରେସାଲମ୍ବେବ୍ରୁ ମେଣ ଶନ୍ତିବେବ୍ରୁ ଗାନା?
ଫା ଶୁଦ୍ଧାର୍ତ୍ତନ ନିନ୍ଦଗବ୍ର ରମ୍ଭାରୁପ ଗରିବାଲ୍
ଶୁଦ୍ଧି ଫାଇଲ୍ ଫାର୍ତ୍ତା-ମନ୍ଦିରିବାନା.

ଏତିତତାଲ୍ପେଶ୍ଵରୁଲ୍ ଫାଇଲ୍ ଏରିଲ୍
ଶଲ୍ପିଶିରିମି ନାହନ୍ତି ଲାନ୍ଦ୍ରେବ୍ରୁଲ୍ଲି.
ଫା ଏକ୍ଷେତିନିନ୍ଦେବ୍ର ଶିର୍ମେବ୍ର କିନାରିଲ୍
ଫା କିରିନ୍ଦି କାରନ୍ତି ଶାରାଦାନିନ୍ଦେବ୍ରୁଲ୍ଲି.

ଗାଢାପ୍ରାଚିନ୍ଦେବ୍ର ରମ୍ଭାରୁପ ଜୁମଦାନ୍ତି
ଫାଇଲ୍ ତାପ୍ରିତ—ଲୁତିଲ୍ଲିଶାନ କ୍ଷେତ୍ରରୁଲ୍ଲି.
ଫା ପିଲ କ୍ଷେତ୍ରପାଲା ପିଲ୍ଲିଶିଲ୍ଲାମିନ୍ଦି—
ମେ ଫାଇର୍ପ୍ରେବ୍ର ଗାଢାର୍ଥିପିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରିବ୍ରୁଲ୍ଲି.



კალიფურია ამორებია და გაფრინდაშვილი გარემონდის

ავ კალიფურიამ ცხენს კონსულის მისუა წოდება.

ვაძლევ ქიმერებს მე—პოეტი აზნაურობას.

ვაძლებ ყალბ სიგელს თვით გომბეშოს, თუ მეცოდება.

სიამით ვუსმენ ვასსალების ბნელ ხმაურობას.

ვარ აშორილის მოციქული და თანაბარი—.

მაზინჯი სახე გავასალე შუცენიერ კერად.

მიყვარს საშინელ სინამდვილის ავი ზღაპარი,

მაგრა დაისი ავიზჩი ბრწყინვალე დერბად.

ჩემი ქვეშევრომ ქიმერების რიცხვი დიდია.

სამეფოს მაინც ვაძლიერებ—ყოველთვის ხარბი.

ჩემი ოცნება როგორც ქვაბი ცეცხლზე ჰკიდია—

მასში სიხმრებთან იხარშება სასტიკი ზღარბი.

ბევრ ამაყ ჭლექებს და ზურმუხტებს მე ავატირებ.

21

გაეხდი იდუმალ არომატებს მაღალ სარდლებათ.

გაეხდი მარგალიტს ოფელიად. ჭინკებს, სატირებს

ჩემ სარკეებში კვლავ მოელის გასამართლება.

ცეცხლის თეატრში აკენესდება ფარლა წითელებ.

როგორც მარკიზებს გამოვიყვან ჭრელ მორიალებს.

გაეშლი სიგელებს და საოცარ მემორიალებს.

ვით ოდიშელი მთელ ქვეყანას გავაბითერებ.



ლისლერთ შესახ.

მე არაფერი არ მატექტებს და არ მაწვალებს
ისე როგორც ეს თოვლისლერი მისი ზღაპარი— ერთობის
ლმერთო, შეხედე სიყვარულით ამ ბავშის თვალებს და მიანიჭე
და მიანიჭე მას ნუვეში და შესაფრირი.

დღას სიზმრის ტბებში გხედავთ მხოლოდ და იჯ მოგვლივ—
(რა დაგვაკიცებს შენს სანთლის თითებს!)

ცისლერ მუსიკას აძნევს მესსა— და დაჩოქილი
ის გველას სოველ თვალებს გვარიდებს.

(თითქო ტრემლები იბნეოდენ აქ უჩინარად!)

ო, ვინც წამთარი ჭამიტვრივთ საწყალ თითებით
და მისი ბაეშიც წანეთ მასთან— მისი გულნარა—
თქვენ გაჩუმლებით სანთლივით და თქვენ შიშვლებით
ხაოცარ იძბალს! ო, მიეცი უფალი, ბარებ
თეთრი ზმანება— შევიჭობა და თავშესაჭარი.

შალგა კარევლი

განიშნული შეუწეა.

რარი კშევნიან ამპარტავნები!

სკლა მიუბამავთ ამაყ ირმიზა.

პანის ლერიებს სლევენ ფაენები...

თრობამ ქუჩაში ამაყირმიზა.

ო, სანატრელი ნაზი გლოვილი.

ახლა ლამეებს ეჭეირდასებით!

სქელი წყვლადი ცერდაგროვილი—

შემოგზევიათ ტანძე ფლასებით.

ერთეულ მეგონა: დატრემლილ ბალებს,—

გადამაშორა ფოლში ჯირითმა!—

დღეს სევდის მოვარე კამარას ალებს,—

ისევ ოცნება გაჯაგვირითმა!

მალალ ფანჯრიდან ფორტეპიანო

ნოკტერნებს ისვრის ფერზავ პანგებით.

თითქოს ტირიან: მგზავრო ვეიანო,—

კვდებიან გედნი ფარშავანგებით!

არც არასოდეს დაიშაქრება

შხურვალე სული გრილი ანთებით!

ჩავქრებით უფრო, როგორც ჩაქრება,—

აისხე მანგი ბრილიანტებით..



თ უ ა ფ რ ტ ე ც.

პროვენტიკულის დაძლი.

ქათქათით მოსჩექს აქაფებული რძის შაურევანი; რესოურსების დასურავენ გარს სახეები.
გადაჭივებილად თვალ ჭინა სდგას ეს აზევები:
—აქ არვის ახსოვს ჭირევული დღის საქმეები.—

სანახაობებს, განცდის ჭუთებს მოჰლვევებიან.
თვალთა ციკლი და კისეისი... წარმოთა რხევანი...
გაილვებენ თეთრ შოლტივით მკლავთა ქნევანი...
და თვალნი შეერთ და დიმილით ველარ ძლებიან.
ეისდევრი, თეთრი, ვარდისფერი, შავი ბანტები...
ჩუმი ბაასი... მოწიაფეთა გადაძაბილი...
აქ უნდა გჭონდეთ გალესილი ყურთა მახვილი:
ამ ჩხათა ზღვაში ჩევრი სიტყვა დაიფანტება.

მიმოცურავენ ტანის რხევით თეთრი გედები;
მაღალ გულ-შეერდნე ირხევიან ქარვის მტევნები.
კონტად ჩამჯდარან იქ ლოვებში ქორფა დედები...
და მრავალ ფიქრებს გულთ იკეცათ, არვის ფუბნები...
—კრომ! კრომ! კრომ! — სამჯერ ჰყიის ყრუ ხმით მამალი;
ადაილებისკენ გაწერარებით ყველა ბრუნდება...
ფოიები კი სდგას ვიღაცა ტანით მაღალი,
ვერ ჰბედავს ზესვლას და ამ ყოფანს დიდ-ხანს უნდება.

ნეტავ ვინ არის? ან ამ ხალხში რათ მარტოვდება?..
რათ არვინ აძლევს იმას სალაში, ვით არაკეთილს?!..
ან რატომ ვერის მერთალ ლანდივით ფოიებს ქედელს?..
და ამ თეთრ წუთში რუხი ფიქრი რათ აგონდება?!

როცა გვება ნედ ტორტმანით სცნაზე ფარდა;
იტკრუალებენ ყოველ მხრიდან ტაშების ბატნი...
ის ჩუმად მიდის, — როს გვებება ყველა მის გარდა,—
თა ზურგს უმშვერებს მას ყულ-ქვევით თეთრი — რამ ბანტი.

ქათქათებს სიკრცე — ვით რძის ქაფი აცურებული...
სურნელოვნობენ მოლერილნი მაღალ გულ-შეერდნი...
თვალთ იზიდავენ კონტა რხევით ასულთა გვერდნი...
და მოსჩექს მათგან ალტყინება დაგუბებული...
ყოფის ვარამი დავიწყების ზღვათ დაშეებულა...
ვარდისფერ სხივით აქ ცხავრება გაშემებულა...
მხოლოდ ის არის შავის ბედით აჩემებული:
აქაც მევიბრობს განურელად... და აგრე უღვოოთ!..
ამას გთხოვთ — მე და მისი სული გაჩრდილებული:
— თუ თქვენც ზენიშნოთ, უურადლებით არ შეაწეხოთ!..



დი ქრა სო ფულ ბ კ.

იყო ამ ბაღის მოწყენილ ტბაში
სიახლე გეღის, კვირე სიზმარის.
სერაჭილების ლოცვების ტაში,
და სათონება ნაქარფი მთვარის.
სოფელი იყო ნაქსოვი ღაზლით,
და ვარსკვლავებში გამოხვეული.
აქ ქალბატონი ჩარობდა ნარაო,
ეფერებოდა სამი ხვეული.
იყო შვიდობა უზენაესი,
უმანქოება დიდ გუმბათების,
იყო ლაქვარდი, ვარდის დაისი,
მერთალი არში ღამწვარ სანთლების.
მოჩენებაა და ეფემერი,
დღე ცველაფერი—ოცნებობს ჩუმად.
ჩვენმა სოფელმა იცვალა ფერი
და აქვითიდა ბიზდის ჩუქურთმად.
დიდი მოწყენა არის მარადი
უცნობი წერა იქ იმყოფება.
მას დაეფინა უფერო დარდი,
და უამაოი ავათმყოფები.
დღეს დაქანცული სალამი არი.
არავის სძინაეს სოფელში ახლა.
ჟყლესიაზე გადატყდა ჯვარი,
ცოდვილ შიწაზე გადაესახლა.
ჟუანასნელი სალამო არი.
სოფელს დაეცა ნევრასტენია.
გარდაიცვალა აქ შაცხოვარი,
და უთისმშობლის ცრემლი და ექტანი.



二四三六三五〇

ადამიანები ტკბებოდენ
პირები მოიცავ სუსევ
პირები ხანგები ყველ
გავიდა დრო. სიბნელე
ხებია, ყველა ფორთხი
ლიანგი (მასსა) შეეჩივ
ქედი. ის კუჭით მაძღ
სინათლეს ნატრობდენ
ლიანგი დასკინდა ი
გავიდა კიდევ დრო.
მოისმა ცილან გრგვინ
გრგვინვას გრგვინვა მი
შეირყა სამყარო.
ზესკნელიდან მოისმა
გუგუნი, გარესკნელიდ
და უცებ სინათლე გა
უკვე ბნელს მიჩვეულ
ველარ უპრეტდენ.
ბნელში ფორთხის მი
სინათლეს ველარ ვეუ
მხოლოდ რჩეულნი ბე
რებას, თუმცა თვალი
ბორძიკით.
მფორთხავი ლიანგი
სასიცოცხლოთ აპრიად
კობენ! რისთვის ან ვ
— საერთო სიკეთისათ
გვინდა გაეუკაფოთო,
მარა სმენა არ იყო დ
გავიდა კვლავ დრო.

ადამიანები ტკბებოდენ სინათლით, მარა ერთ დღეს ჩატურიათ ჟეტე
პნელმა მოიცა სუკველაფერი ამ ქვეყანაზე.
პირველ ხანებში ყველა ნატრობდა სინათლის კვლავ ამოსელის.
გავიდა დრო. სიბნელე გაუკუმეფდა. სიარულს ველარავინ ახერ-
ხებდა, ყველა ფორთხავდა.
ლიანგი (მასსა) შეეჩია და შეეგუა სიბნელეს და მოუხარა შეს
ქედი. ის კუჭით მაძლარი იყო და შეურიცდა თავის ბედს.
სინათლეს ნატრობდენ მხოლოდ რჩეულნი.
ლიანგი დასკინოდა ამ ნატვრას, მათი აზრით უნიაზაგოს.
გავიდა კიდევ დრო.
მოისმა ცილან გრგვინვა, გაიელვა.
გრგვინვას გრგვინვა მოჰყვა, ელვამ უხშირა.
შეირყა სამყარო.
ზესკნელიდან მოისმა ზარტენის სმა, ქვესკნელიდან — შემზარავი
ზუგუნი, გარესკნელიდან წამოვიდა მძაფრი, შემზარავი ქარბუქი
და უცებ სინათლე გამოჩნდა.
უკვე ბნელს მიჩვეულ ადამიანებს სინათლე თვალს ჭრიდა, შეს
ველარ უპვრეტდენ.
ბნელში ფორთხავს მიჩვეულნი სიარულს ველარ ახერხებდენ,
სინათლეს ველარ ეგუებოდენ.
მხოლოდ რჩეულნი ბედავდენ სინათლისათვის თვალის გასწო-
რებას, თუმცა თვალის პრიალით, სინათლეზე სიარულს, თუმცა
ბორბიკით.
მფორთხავი ლიანგი დასკინოდა რჩეულებს, შეხეთ როგორ
სასიცოცხლოთ აპრიალებენ თვალებს, რა საცოდავათ ბორბი-
კობენ! რისთვის ან ვისთვის იჭირებენ ხაქმეს?
— საერთო სიკეთისათვის ვიტირებთ საქმეს, მომავალს გა-
ვინდა გაუკაფოთო, მიუგებდენ რჩეულნი.
მარა სმენა არ იყო და გაგონება.
გავიდა კვლავ დრო.

აღაშიანების თვალებიც ნელნელა ეჩვევოდა სიმართლეს, ხედვდა
კიდეც გარემოს, არჩევდა აღაშიანს აღაშიანისაგან.

ერთმანეთს ამჩნევდენ, რომ ხანგრძლივს სიბნელეს, სინუსტეს, და
ფორთხვას გაეუფრულებინა მათი სახე, კუტურულურების
ცხვირ-პირი და ხელები, მოებლუნკებია მათი ტანი.

ხედავდენ ყველაფერ ამას და ელდა უფლებდა მათ გულს.

—ჩვენთვის სინათლეს სიბნელე ჯობნებიათ! სინათლის წყა-
ლობით ჭველა გულის იმრეც და შემაშფოთებელს წყლულებსა
და სიმახიჯეს ვხედავთო, სიბნელეში კი გულის თურევლათ და
უშფოთელათ მაინც ვიყავითო!

რჩეულნი უხსნიდენ:

—სინათლის რა ბრალია, თქვენ რომ სინამდვილე ვაშფოთებ-
დესთო.

აღაშიანები საგონებელშია შეიპყრო.

ბევრი იფიქრეს, ბევრა გამართეს, ჩუმათ დაასკვნეს და ხმა მაღლა
ღალად ჰყვეს:

—არ გვინდა სიმართლე, რავი ასეთს სინამდვილეს გვინათებსო!





0. გრიმაშვილის აღმინდან.

საზარდა (საზარდორი) ოღა ილაშვილის მეჯლისი 1855 წ. (სპარსელები)
ნახატი მიზანი ამუღასანიან სუნულ მულტია.

36. სამსახური 0. შივრიძე

27

0. გრიმაშვილი.* „სახათნოვა“ 1918 წ. ცეკილისი, 15 გან.
ის. სფურულების გამოცემა.

გასულ წელს ერთი კარგი წიგნი შეეძინა ჩვენს გამოკვლეულით
მეტად ღარიბს მწერლობას, გრიმაშვილის „სახათნოვა და ძვე-
ლი ტფილისი“ კარგა მოზრდილი მონოგრაფია (85 გვ. დიდი
ფორმატისა), თან დართული აქვს სახათნოვას ძეგლის სურათი
და სახათნოვასვე ვეროგრაფი (სომხური ლექსი ქართულ ასო-
ებით), ერთიც და მეორეც სახათნოვას სომხური ლექსიბის გა-
მოცემიდან (ტფილისი 1914) ამოღებული, შემდეგ მისდევს
„სახათნოვას (ქართული) ლექსიბი“ (97-124, რიცხვით 28) და

* შენიშვნა: პროფესორ იოსებ ყიფშიძეს, რომელიც 1919 წელს 21.
II თვეილისში პარტახტიანი სახალით გარდაიცვალა, იოსებ გრიმაშვილის
წიგნის „სახათნოვა“-ს შესახებ ბიბლიოგრაფის წერა დაეწყო, მაგრამ მისი
უღრითო გარდაცვალების გამო იგი დაუმთავრებელი დარჩა. ეს დაწყე-
ბული წერილი იოსებ ყიფშიძის ხელთაწერებში ენახა პროფესორ აკაკი
შანიძეს იმავე წელს 3 აპრილს. მკითხველს ვაწვდით ამ ბიბლიოგრაფიის
ნაწყვეტს სამსახურით.

რედაქცია.

ბოლოს „ლექსიკონი“ (127-134) სახათნოვას ლექსებში ნახ-
მარი ზოგიერთი სიტყვებისა.

გრიშაშეილის გამოკვლევა ბევრს ახალსა და სინტერესო ცნო-
ბებს შეიცავს ქართული მწერლობის ერთს დარჩენილების მო-
ლელთა (შავჩიხიანთა) აშულობაზედ, რომელთა წარმატება და
სახათნოვა ეკუთნოდა, მათ ყოფა ცხოვრებაზე და საზოგადოდ
მცელ ტფილისზე. აშულობა გარდამავალი საფეხურია ხალხურს
სიტყვისთან და ყარაჩოლელთა ხელოვნურის მწერლობის შო-
რის... ავტორს დიდი შრომა გაუწევია თავის მონოგრაფიის
დაწერის დროს გულდასმით შეუძავლია მწერლობითი თუ არა
მწერლობითი მასალები, ყველაფერი ეს გაუტარებია,—როგორც
თვითონ იმპობს (21 გვ.),—თავის დაკვირვების საცერში და
ჩენოვის მოუციი არაჩვეულებრივი ცოცხალი, მხატვრული ენით
დაწერილი ყარაჩოლელთა და ძველი ტფილისის სურათი.

თავდაპირველად ბ. გრიშაშეილი გვიხატავს აშულის მნიშვნე-
ლობას საზოგადოდ: „აშულების მოვალეობა ის იყო რომ მათ
უნდა ექსპრომტად დაქმდერათ ქამანჩაზედ თუ დაირაზედ ლექსი.
აშული ძველად დამკარელიც იყო, მომდერალიც და ავტორიც.
დღეს კი აშულები უფრო იმსრულებელნი არიან“—ო (გვ. 8).
აღმოსავლეთის მუსიკა. ტყუილად ნუ ვცდილობთ აღმოსავლე-
თის ჩამოშორებას (გვ. 10).

ნარაქა (11-12), ნაღლი (მოძრავი თეატრი). აშულების გავლენა
ჩვენს პოეტებზე (20), 52, აშული საუცხოვოდ მომდერალნი
(27) პაზირა ნამდვილი აშული; ებლინდელი აშულები (49) მარ-
ხვის შენახვა (29) კრივი, ჰამქარი (35) ავთანდილობა (40) ოხ-
ჩუში. სახათნოვას დახასიათება (49), 75 სხვა და სხვა ენაზე
ლექსები (63). (რედაქციის შენიშვნა: აქ წყდება ხელნაწერი).





დია ჩიანელი

„შემოდგომის ცრემლები“. ქუთაისი. 1918. ფასი 6 განეკი.

დ. ჩიანელის „შემოდგომის ცრემლები“ პირველი წიგნის ხსნუ- გაზრდა მწერლისა. ავტორის წინათქმით: ეს ფერმკრთხლი წარმოადგენ წერები საუკეთესო ჩემი სულის შვილები არიან“ -ო, მაგრამ ჩენ იმედი გვაქვს „შემოდგომის ცრემლები“ -ს სტრიქონები არ დარჩება ავტორის სულის საუკეთესო შვილებათ და მომავალში უფრო ძლიერსა და მწველი სევდით მონაქარგ სტრიქონებს მიუძღვის ჩენს ლიტერატურას.

„შემოდგომის ცრემლები“ -თ ავტორი სცდილობს ახალი სტილის, ახალ ხაზოსმის გამონახვის, მაგრამ იგი ვერ არის ძლიერი, და ერთმანეთში აღრევა ახალისა და ძველი სტილისა აფერმკრთალებს ლამაზს და ღრმა შინაარსიან სიუჟეტებს.

გ. ფაშიძე

„Graine aux fleurs artistiques“. MCMXIX. ტუილისი. ფასი 25 განეკი.

ადარებ გ. ტაბიძის ნაზისევდით მონაქარგ ლექსების II კრებულს პირველ კრებულთან და ოდფრთოვანებას ეძლევი. გრძნობრომ ახალგაზრდა მცოსანი გიგანტიურ ნაბიჯით მიიწევს წინ.

გ. ტაბიძე სრულიად თავისებური ნიჭია, იგი ობლად მოხეტიალე ვარსკვლავია ჩენს პოეზიაში, იგი განდეგილი შეუდაბნოვა, რომელიც ვერავის ვერ ანდობს თვის გულის ზრახვას.

რა იყიან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გულიო“, მაგრამ საქმარისი გადაიკითხო, მისი მეწამულ ცეცხლით ნაფერფლი სტრიქონები, რომ გაიგო ავტორის სევდა და არ შეგიძლია არ შეიყვარო ეს სულის გამოუცნობ ფიქრების მესაიდუმლე მცოსანი.

გ. ტაბიძეს ნიჭს აუცილებლად ეტყობა წინ-სვლა.

ტეხნიკურის მხრით მისი პირველი წიგნი უფრო ლამაზათ არის გამოცემული ვიდრე მეორე, რაც უნდა ავსნათ დღევანდელი სიძირით.

ევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაბიძის II წიგნი მეტს მოიგებდა რომ ზოგიერთი ლექსები სრულებით არ შეეტანა შიგ.

თაგურინ

წიგნ I ობილისი 1919. ფასი 20 მანეთი.

ჰიუმორული ნაწერები იშევიათია ქართულ პოეზიაში. ქართველებს არ ეხერხება მხიარულ ჰანგზე წერა, რაც აისანება ისტორიულ ჩარხის უკუღმა ტრიალით. მიუხედავისა მისი უმატები და თავუნა ძლიერი ჰიუმორული ნიჭით არიან დაჯოულებულნი. ხშირად გაუკინებია მათ ნაწერებს მუდამ სევდიანი და დაღვრემილი ქართველი მკითხველი.

ჰიუმორულ ნაწარმოებთა კრებული ჰირველად გვევლინება თავუნას წიგნის სახით, რაც განძათ უნდა ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურისთვის. წიგნი დიდი ფორმატისაა და დღვენდელ ჰირობებში ძლიერ ხელმისაწვდომ ფასადაც იყიდება.

გამოშცუმლობა „კირჩისი“

ა) „აჩალი პოეზიის ანტოლოგია“. ქუთაისი 1919. ფასი 15 მანეთი.

კირჩისის გამომცემლობა ყურადღებას იპყრობს როგორც შინაარსის მხრივ ავტორები გარეგნული მხრით.

30

„ახალი პოეზიის ანტოლოგია“ შესდგება ორი ნაწილისაგან: I ლექსები, II პროზა. უნდა აღვნი შნოთ რომ I ნაწილი უფრო მდიდარია შინაარსის და მასალების მხრივ ვიდრე II. პირველ ნაწილში მოთავსებულია 31 ავტორის ნაწარმოებნი, მეორე ნაწილში კი მხოლოდ 10-ის. შესაძლებელი იყო რომ II ნაწილიც უფრო შინაარსიანი და მრავალ ფეროვანი ყოფილიყო. ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლულევანებაზე ჩვენ აქ არას ვიტყვით. აღნი შნავთ მხოლოდ რომ ეს პირველი ცდაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩანგის I და II კრებულს, ყველა დარგის მწერალთა ნაწარმოების საუკეთესო ნიმუშთა გემოვნებისა, რაც დიდ მოთხოვნილებას წარმოადგენს ქართველ მკითხველისათვის, და ამ მხრით დიდი მაღლობის ღირსია გამომცემლობა „კირჩისი“.

ბ) კ. გაფრინდაშვილი. „დისები“. ქუთაისი. 1919. ფასი 25 მანეთი.

„დაისები“ დაყოფილია ოთხ ნაწილად: I დაისები, II ორეულები, III ოფელიები, IV ამარსიფალი. კ. გაფრინდაშვილი სრულიად თავისებური მწერალია ჩვენს

განსხვავდება „ყანწელების“ პოულიდანაც კი, რომელთა შო-

რისაც ისიც მუშაობს და ჩვენს ლიტერატურაში მას წინამორ-

ბედიც არა ყოლია.

თუ ვისიმე გავლენა ეტყობა გაფრინდაშვილს ისევ საფრანგე-

თის მწერლის სტ. მალარმესი.

გაფრინდაშვილის დაისები და ორეულები, სავსტერლუტერენციუ

ლურია და უბრალი ტკითხველისთვის მიუწდომელი.

საკიროა მრავალჯერ და დაკვირვებით გადაიკითხო მისი ლექსები, რომ იგრძნო ავტორის ორეულებთან ბრძოლა, რომელიც დაისის შზგავს ნიღაბით ფარავს ავტორის სულიერ ტკივილებს.



„დიდიძოს მეფე“-ს განზრანელი დადგმა.

მ. ქორელიძე ესკიზი.



3. გაფრინდაშვილი	თვატრი ტიტანები	15
3. დადიანი	ლადო მესრიშვილი	15
ხ. ახლანიშვილი	ქართული პოეზია	15
3. გაფრინდაშვილი	Fata-Morgana	20
3. გაფრინდაშვილი	კალიგულა, აშორდია და გაფრინ- დაშვილი	21
ბ. ჯაფარი	ცისფერი მესხა	22
3. გარმელი	დანიშნული შევნება	22
ინ-რე-ქან	თვატრში: პროვინციელის ლანდი	23
3. აფხაიძე	ფიქრი სოფელზე	24
ი. ჭყონია	სინათლე და ლიანგი	25
ი. ყიფშიძე	გრიშაშეილის „სახათნოვა“	27
ბ. ბოჭიორიშვილი	ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	29
ბ. ჭიათურელი, მ. ქორელი	მხატვრობა	

შურნალი დაიმტკიდა ქართველთა პორტი წერა-კითხვის სრავში ქუთაისში.

შურნალს აწყობდენ მ. გარსღეშვილი და ვ. ხელტერმაძის ახულა

კლიიშეები დამზადებულია სოლომონიანის და სურჩიანის ლი-
ტოგრაფიაში თაფილისში

რედაქტორ-გამომცემელი ხოხი ახლანიშვილი

რედაქტორის მისამართი: ქუთაისი ქათოლიკების ქ. № 44.